პრეზიდენტ ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის პირველი მრჩეველი



ვხდებით რა ჭეშმარიტი მოციქულები

ზიარების ყოველ შეკრებაზე ჩვენ გვეძლევა უპირატესობა, შევპირდეთ მამაზეციერს, რომ ყოველთვის გვეხსომება მხსნელი და დავიცავთ მის მცნებებს, რათა მისი სული იყოს ჩვენთან (იხ. მორონი 4-3; 5:2: მოძღვრება და აღთქმები 20:77,79). ყოველთვის, როცა ვიღებთ საკუთარ თავზე მის სახელს, ჩვენ იგი ბუნებრივად გვახსენდება. ამას მრავალი სხვადასხვა ხერხით ვაკეთებთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვებს ვემსახურებით მისი სახელით, ვკითხულობთ მის წმინდა სიტყვებს და ვლოცულობთ, რათა გავიგოთ, რას ელის იგი ჩვენგან.

მე ეს გამოვცადე, როცა ახალგაზრდა მამაკაცს ვნათლავდი. მე ვიცოდი, რომ მხსნელის კურთხეულმა მსახურებმა მომიწოდეს მისიონერის პოზიციაზე, რათა გამეზიარებინა უფლის სახარება და დამოწმება მისი და მისი ჭეშმარიტი ეკლესიის შესახებ. ჩემი ძმადნაფიცი და მე დავპირდით ახალგაზრდას, რომ იესო ქრისტეს გამოსყიდვის ძალით იგი განიწმინდებოდა, თუკი მოინანიებდა მსხნელის რწმენით და მოინათლებოდა მისი უფლებამოსილი მსახურების მიერ.

როცა ეს ახალგაზრდა მამაკაცი წყლიდან ამოვიყვანე, მან ყურში ჩამჩურჩულა: „მე სუფთა ვარ, მე სუფთა ვარ“. იმ მომენტში მე გამახსენდა მხსნელის ნათლობა მდინარე იორდანეში, როცა მას იოანე ნათლისმცემელი ნათლავდა. იმაზე მეტიც, მე გამახსენდა, რომ ვასრულებდი აღმდგარი ცოცხალი მხსნელის ხსნის საქმეს და რომ ისევე, როგორც იოანეს, სულიწმინდა მეწვია.

ჩემთვის და ყოველი ჩვენგანისთვის მხსნელის გახსენება შეიძლება ნიშნავდეს უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ ჩვენს ცოდნაზე დაყდნობას და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა შემთხვევებს. ჩვენ ყოველდღიურად შეგვიძლია გავაკეთოთ ისეთი არჩევანი, რომელიც აწმყოში მასთან ახლოს მიგვიყვანს.

ყველაზე ადვილი არჩევანია წმინდა წერილის წაკითხვა. როცა ასე ვიქცევით, ჩვენ ეს მასთან სიახლოვის გრძნობას გვგვრის. ჩემთვის სიახლოვე მოდის მორმონის წიგნის წაკითხვისას. 2 ნეფის წაკითხვისას პირველივე წუთებიდან გონებაში ნეფისა და ლეჰის ხმები მესმის, როცა ისინი აღწერენ მხსნელს, თითქოს პირადად იცნობდნენ მას. და მოდის სიახლოვის გრძნობა.

თქვენთვის შეიძლება არსებობდეს სხვა ნაწყვეტები წმინდა წერილიდან, რომლებსაც უფალთან ახლოს მიჰყავხართ. მაგრამ სადაც და როდესაც არ უნდა კითხულობდეთ ღვთის სიტყვას, მორჩილი და ჭეშმარიტი ზრახვით, გახსოვდეთ ქრისტე, გაიზრდება თქვენი სურვილი, აიღოთ საკუთარ თავზე უფლის სახელი.

ეს სურვილი შეცვლის თქვენს უფლის ეკლესიაში მსახურების ხედვას. თქვენ ილოცებთ მამაზეციერისადმი დახმარებისთვის, განადიდოთ ისეთი მოწოდებაც კი, რომელიც თქვენს თვალში პატარაა.

დახმარება, რომელსაც ითხოვთ, არის უნარი - დაივიწყო საკუთარი თავი და მთელი ყურადრება გადაიტანო იმაზე, რაც უფალს სურს მათთვის, ვისი მსახურებისთვისაც მოგიწოდეს.

მე მიგრძვნია მისი ხელი და სიახლოვე ჩვენი შვილებისთვის მსახურებისას, როცა ვლოცულობდი იმისთვის, რომ გამეგო, როგორ დავხმარებოდი მათ იმ სიმშვიდის პოვნაში, რომელიც მხოლოდ სახარებას მოაქვს. ასეთ მომენტებში მე ნაკლებად მაწუხებდა წარმატებული მშობლის სახე და გაცილებით მეტად მაინტერესებდა ჩემი შვილების წარმატება და კეთილდღობა.

სურვილი, მივცეთ მათ, ვისაც ვემსახურებით ის, რასაც მათ მხსნელი მისცემდა, მიგვიყვანს ლოცვამდე, რაც არის *ვედრება* მამაზეციერეისადმი იესო ქრისტეს სახელით. როცა ასე ვლოცულობთ, მხსნელის სახელით, მასში რწმენით, მამაზეციერი გვპასუხობს. იგი გვიგზავნის სულიწმინდას, რომელიც წინ მიგვიძღვის, გვანუგეშებს და გვამხნევებს. ვინაიდან სულიწმინდა ყოველთვის მოწმობს მხსნელის შესახებ (იხ. 3 ნეფი 11:32, 36; 28:11; ეფერი 12:41), იზრდება ჩვენი შესაძლებლობა, გვიყვარდეს უფალი მთელი გულით, გონებითა და ძალით (იხ. მარკოზი 12:30; ლუკა 10:27; მოძღვრება და აღთქმები 69:5).

უფლის მსახურების, მისი სიტყვის ნადიმისა და მისი სახელისადმი რწმენით ლოცვისას ნელ-ნელა, თუმცა მყარად, მოვა ყოველდღიური და ამჟამინდელი უფლის ხსენებასთან დაკავშირებული კურთხევები. და ამ ხსენების გამო ჩამოვყალიბდებით უფალ იესო ქრისტეს ჭეშმარიტ მოწაფეებად მის სასუფეველში დედამიწაზე და შემდგომ მის მამასთან ერთად დიდებულ სასუფეველში, რომელიც გველის.

ამ გზავნილის სწავლება

პრეზიდენტი აირინგი გვირჩევს, ყოველთვის გავიხსენოთ მხსნელი ყოველდღიური არჩევანით - მივუახლოვდეთ მას. შეგიძლიათ წაიკითხოთ ზიაების ლოცვა მათთან ერთად, ვისაც სტუმრობთ, სადაც აღინიშნება აღთქმა, ყოველთვის გახსოვდეთ იგი (იხ. მორონი 4:3; 5:2; მოძრვრება და აღთქმები 20:77, 79). მოიწვიეთ ისინი, ვისას ასწავლით, ჩამოწერონ იმ საქმეთა სია, რომელთა შესრულებით შეძლებენ, ყოველდღიურად გაიხსენონ მხსნელი. შეგიძლიათ მოიწვიოთ ისინი, ილოცონ მამაზეციერისადმი ერთმანეთის კეთილდღობისა და წარმატებისთვის. თქვენც ილოცეთ მათთვის.

ახალგაზრდები

ყოველდღიურად უფლის ხსენება

მეგობრები, საოჯახო საქმიანობა, საშინაო დავალება, ტელევიზორი - უამრავი რამ მოითხოვს ჩვენს ყურადღებას. მაგრამ ჩვენ ყოველ კვირას ვპირდებით მამაზეციერს, „რომ ყოველთვის გვეხსომება [მისი ძე, იესო ქრისე]“ მოძღვრება და აღთქმები 20:79).

პრეზიდენტი აირინგი გვეუბნება, რომ ჩვენ შეგვიძლია ყოველდღიურად გავაკეთოთ ისეთი არჩევანი, რომელიც დაგვეხმარება, გვახსოვდეს ქრისტე. ამ თვეში დასახეთ მიზნად ყოველ დღე უფრო მეტად გაიხსენოთ ქრისტე. შეგიძლიათ გააკეთოთ კალენდარი და აიღოთ ვალდებულება, ყოველ დღე გააკეთოთ რაღაც, რაც ჩამოაყალიბებს თქვენს ურთიერთობას მასთან. პრეზიდენტი აირინგი ჩამოთვლის შემდეგს: წმინდა წერილის წაკითხვა, რწმენით ლოცვა, მსახურება მხსნელისთვის და სხვათათვის. ასევე დღიურის წარმოება, ეკლესიურ შეხვედრებზე დასწრება, გენერალური კონფერენციის მოსმენა, ტაძარში სიარული, ჰიმნების შესრულება და ეს სია გრძელდება! როცა ჩვენ ყოველდღე გავიხსენებთ მხსნელს, პრეზიდენტი აირინგი გვპირდება, რომ „ნელ-ნელა, თუმცა მყარად, მოვა კურთხევები, რის შედეგადაც გავხდებით უფალი იესო ქრისტეს ჭეშმარიტი მოწაფეები“.

ბავშვები

სიყვარულის სიუხვე

როცა ჩვენ ვკითხულობთ წმინდა წერილს ან ვლოცულობთ, შეგვიძლია ვიგრძნოთ, რაოდენ ვუყვარვართ მამაზეციერსა და იესოს. დიდი გულის შიგნით დახატეთ პატარა გულები. ყოველთვის, როცა ილოცებთ ან წაიკითხავთ წმინდა წერილს, გააფერადეთ გული. კიდევ რა შეგიძლიათ გააკეთოთ, რომ იგრძნოთ სიახლოვე მამაზეხიერთან და იესოსთან?

© 2017 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი *First Presidency Message, September 2017.* Georgian. 97930 131

გზიდან გადახვეულთა სიყვარულით შემოსვა

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ მოამზადებს მოწყალების საზოგადოების მიზნის გააზრება ღვთის ასულთ, მარადიული ცხოვრების დალოცვებისთვის?

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

„რეალობა ისაა, რომ არ არსებობს სრულყოფილი ოჯახები . . .", თქვა პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველმა, პრეზიდენტმა დიტერ ფ. უხტდორფმა. „რა პრობლემების წინაშეც არ უნდა აღმოჩნდეს თქვენი ოჯახი, რაც არ უნდა გააკეთოთ მათ გადასაწყვეტად, გადაწყვეტილების თავი და ბოლო არის მოწყალება, ქრისტეს სრულყოფილი სიყვარული".[1]

მათთვის, ვინც არ არიან სახარების სრული მონაწილენი, მოწყალების საზოგადოების ყოფილმა გენერალურმა პრეზიდენტმა, ლინდა კ. ბერტონმა, თქვა: „მამაზეციერს უყვარს ყოველი თავისი შვილი. . . . არ აქვს მნიშვნელობა, სად იქნებიან ისინი - გზაზე თუ გზის იქით, მას სურს მათი შინ დაბრუნება".[2]

„როგორი ჭირვეულიც არ უნდა იყვნენ თქვენი შვილები, . . . არ ესაუბროთ მათ წყრომით, უხეშად ან განკიცხვის სულით", გვასწავლიდა პრეზიდენტი ჯოზეფ ფ. სმითი (1838-1918). „კეთილად ესაუბრეთ მათ".[3]

უხუცესი ბრენტ ჰ. ნილსონი სამოცდაათიანელთა ქვორუმიდან დაესესხა მხსნელის რჩევას მათ, ვისაც 10 ვერცხლი აქვს და ერთს დაკარგავს" „ეძიეთ, სანამ იპოვით. როცა თქვენი ვაჟი ან ქალიშვილი დაიკარგება, თქვენი და ან ძმა, . . . ერთადერთი რაც გვრჩება - მთელი გულით გვიყვარდეს ეს ადამიანი.. . .

დაე, მივიღოთ ისეთი გამოცხადებები, რათა გავიგოთ, როგორ მივუახლოვდეთ დაკარგულთ ჩვენს ცხოვრებაში და საჭირეობისას, ვიქონიოთ მამისა და მისი ძის, იესო ქრისტეს, მოთმინება, როცა გვიყვარს, ვუცქერთ და ველით უძღებ შვილს".[4]

პრეზიდენტმა ჰენრი ბ. აირინგმა, პირველი პრეზიდენტობას პირველმა მრჩეველმა თქვა: „რწმენით ვილოცე, რომ ჩემთვის საყვარელმა რომელიმე ადამიანმა ეძიოს და იგრძნოს გამოსყიდვის ძალა. მე რწმენით ვლოცულობდი, რომ ცოცხალი ანგელოზები მოსულიყვნენ მათ დასახმარებლად, და ისინი მოვიდნენ.

„ღმერთმა იცის, როგორ გადაარჩინოს ყოველი თავისი შვილი.[5]

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან და ინფორმაცია

მათე 18:12; ალმა 31:35; 3 ნეფი 13:32; მოძღვრება და აღთქები 121:41-42; *reliefsociety.lds.org*

შენიშვნები

1. Dieter F. Uchtdorf, "In Praise of Those Who Save," *Liahona*, May 2016, 79, 80.
2. ლინდა კ. ბერტონი, სარა ჯეინ ვივერის "Relief Society Celebrates Birthday and More March 17," *Church News*, Mar. 2, 2013, news.lds.org.
3. *Teachings of Presidents of the Church: Joseph Smith* (1998), 254.
4. ბრენტ ჰ. ნილსონი, "Waiting for the Prodigal", *Liahona,* მაისი 2015, 103.
5. Henry B. Eyring, „To My Grandchildren", *Liahona*, Nov. 2013, 71.

განიხილეთ შემდეგი

როგორ შეგვიძლია დავრჩეთ მოსიყვარულენი მათ მიმართ, ვისაც არ სურთ სახაების პრინციპებით ცხოვრება?

© 2017 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი *Visiting Teaching Message, September 2017.* Georgian. 97930 131